

ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლის N28 ბინაზე, მოქალაქე
თეიმურაზ კოხრეიძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა
და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ბუკიას ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლის N28 ბინაში მცხოვრები მოქალაქე თეიმურაზ კოხრეიძის განცხადება /2013 წლის 12.06 Nკ-6324/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლი N28 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლის N28 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე თეიმურაზ კოხრეიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლის N28 ბინაზე /საერთო ფართობი 67,90 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 43,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 24,90 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 2.55 კვ.მ./ მოქალაქე თეიმურაზ კოხრეიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

თ.თოფურიძე